საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1831 2015 წლის 1 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 39 449 (ოცდაცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდაცხრა) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (ს/კ №404401438).

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღეში;

ბ) საქართველოს მთავრობას, „Clean Energy Invest As“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2012 წლის 28 სექტემბერს და 2014 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით), გათვალისწინებული

„I სეგმენტის ჰიდროელექტროსადგურების“ (შუახევისა და სხალთის ჰიდროელექტროსადგურების), ამავე შეთანხმებით დადგენილი პირობების შესაბამისად, აშენება და და ექსპლუატაციაში მიღება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

#	ნაკვეთის კოდი	მისამართი	ნაკვეთის ფართობი
1	24.02.32.071	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალდაბა	3206 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
2	24.07.36.298	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალდაბა	16513 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
3	24.07.36.300	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალდაბა	5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
4	23.08.32.184	ხულოს მუნიციპალიტეტი , სოფელი ფაჩხა	664 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი